ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲛᲬᲘᲗᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲒᲠᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ 115
ᲢᲔᲚ: (+995 358) 22 23 19
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticbolnisi@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘ: ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲔᲗᲘ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 10:00 – 18:00
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ – 09:00 – 18:00

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲗᲘ (24/7)
0 800 800 909
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 4, 0105, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲢᲔᲚ: (+995 32)2436999
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: info@gnta.ge
georgia.travel
www.fb.com/GeorgiaAndTravel
ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 2017

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲗᲚᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ქვემო ქართლი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი ესაზღვრება თრიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებს და მდინარე მტკვრის დინების ქვემო, მარჯვენა მხარეს არის გადაჭიმული. სწორედ ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეწოდა მას ქვემო ქართლი. რეგიონის საერთო ფართობია 6901 კვ.კმ-ი, რაც საქართველოს ტერიტორიის 10%-ს შეადგენს.

ქვემო ქართლს აღმოსავლეთით ესაზღვრება კახეთის, ჩრდილოეთით – შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის, დასავლეთით – სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, ხოლო სამხრეთით სომხეთი და აზერბაიჯანი. იგი შვიდი ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება, ესენია: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ქვემო ქართლი განლაგებულია ნახევრად უდაბნო, მშრალი სუბტროპიკული და მაღალმთიანი ალპური ზონის საზღვრებში. მის ლანდშაფტს, ძირითადად, ველები და ტყე-ველები შეადგენს. ქედებს შუა ტყეებში ჭარბობს მუხნარი, რცხილნარი; ხარობს წიფელა, ნეკერჩხალი და სხვა. მარნეულის ვაკე ადგილებში ვხვდებით ნახევარუდაბნოსთვის დამახასიათებელ მცენარეულ საფარს. მტკვრის ჭალებში შემორჩენილია ჭალის ტყეები. ქვემო ქართლის უმსხვილესი მდინარეებია: მტკვარი, ხრამი და ალაგეთის ქვემო დინებები. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი ტბები: ჯანდარა, წურბლიანი, არყიანი, ბარეთი და გრძელი ტბა. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს წალკის, დმანისის და ალაგეთის წყალსაცავები.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

VII-XI სს-ში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა თბილისს საამირო, კლდეკარის საერისთავო და ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. XII-XIII სს-ში ამ ტერიტორიაზე გაგისა და ლორის ქართული სასაზღვრო საერისთავოები იყო. მონღოლებისა და თემურ-ლენგის ლაშქრობების (XII-XIV-XV სს) შემდეგ საქართველომ დაკარგა ხუნანის საერისთავო და სახელმწიფო სახღვარმა ქცია-მტკვრის შესაყარზე გადაინაცვლა; XV ს-იდან დაიწყო მომთაბარე თურქმანული ტომების ჩამოსახლება; ამავე პერიოდში ქვემო ქართლში შეიქმნა სათავადოები: საბარათიანო, საორბელო და სხვ. XVII ს-ში ირანის შაჰმა აბას-მა დებედის ხეობაში ბორჩალოს მომთაბარე ტომი ჩამოასახლა; დააარსა ლორის სახანო. XVIII ს-ში ლეკი ფეოდალების თარეშის გამო ქვემო ქართლი მკვიდრი მოსახლეობისაგან თანდათან დაიცალა. შემდგომ ხანებში აქ განსდნენ ქართველი, თურქულ-ენოვანი, სომეხი და სხვა მოახალშენეები. ქვემო ქართლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერა იყო, ამით აიხსნება მის ტერიტორიაზე ეკლესიებისა და სამონასტრო კომპლექსების სიუხვე. აქვე მდებარეობდა საქართველოს მეფეთა სახაფხულო რეზიდენციები.

ᲠᲔᲚᲔᲤᲘ

ქვემო ქართლის ბარში ნოტიო-სუბტროპიკული და სუბტროპიკულ- კონტინენტური ჰავაა (წლის საშუალო ტემპერატურაა 12-13ᲒᲐᲠᲐᲓᲣᲡᲘ). ჯავახეთის ქედის მთიან რეგიონში ჰავა ზომიერად ნოტიოა (წლის საშუალო ტემპერატურაა 3-12ᲒᲐᲠᲐᲓᲣᲡᲘ). წალკის მიდამოებში კი ზომიერად ნოტიოდან მშრალ სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა (წლის საშუალო ტემპერატურა 6ᲒᲐᲠᲐᲓᲣᲡᲘᲡ არ აღემატება).

ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ნაშთების (ქვედა ება, ფეხის ტერფის ძვალი და ორი თავის ქალა) აღმოჩენამ, ის მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოაქცია. სპეციალისტების მიერ დადგინდა, რომ დმანისელი ჰომინიდები ამ ტერიტორიაზე 1 800 000 წლის წინ ბინადრობდნენ. ისინი არა მარტო უძველეს კავკასიელებად, არამედ პირველ ევრაზიელებადაც ითვლებიან. აღმოჩენილი თავის ქალები კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით ადადგინეს და სახელებიც კი შეარქვეს. მსოფლიოს არქეოლოგიურ წრეებში მათ მხიას და ზეზვას სახელებით იცნობენ. მულაკები თბილისის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ალაგეთის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის კვალი, გათხრილია შუა ბრინჯაოს ხანის ეპოქის ყორღანები, ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ეპოქის ძეგლები. აქვეა ხელუხლებლად შემორჩენილი, ციკლოპური ტიპის ნაგებობები, რომელთაგან გოხნარის ციკლოპური ნაგებობა განსაკუთრებით საინტერესოა თავისი არქიტექტურით. აღმოჩენილია ანტიკური ხანის "ალაგეთის სამარხი", წარჩინებული პირის ქვაყუთი სამარხი, ძვირფასი ნივთებითა და სამკაულებით.

მანგლისში აღმოჩენილია ელინისტური ხანის მასალა: ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებიანი მონეტები და ბრინჯაოს ნივთები.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მრავალი ყორღანული სამარხია გაოთხილი. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე მდებარე ყორღანები და მათკენ მიმავალი გზები. ყორღანების გზები 1 მეტრი სისქისა და ქვების რამდენიმე ფენისაგან შედგება. გზის სიგანე 4.5 მეტრიდან 7 მეტრამდეა, სიგრძე - 40 მეტრიდან 400 მეტრამდე. ყორღანები და მათკენ მიმავალი გზები ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზეა აგებული. ყორღანების გზებს, თავისი გრანდიოზულობითა და ტექნიკური მიგნებებით, პირამიდებისკენ მიმავალ დასაკრძალავ გზებს ადარებენ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ᲓᲦᲔᲑᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

დმანისი - გამაგრებული ციხე-ქალაქი, შუა საუკუნეებში, თბილისის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ქალაქს წარმოადგენდა. აქ გადიოდა საქარავანო გზები. ისტორიული წყაროების თანახმად, დმანისის ციხე- ქალაქი თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციი ყოფილა. დღექმე შემოხახლებია შუასაუკუნეების დროინდელი ციხე და ციტადელი, მარანი, აბანო, დარბაზები, საპყრობილე, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-დანიშნულების შენობების ნანგრევები. აღსანიშნავია გვირაბი, რომელიც XII ს-ით თარიღდება. აქვე მდებარეობს VI საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა. ციხეს აქვს ციტადელი, რომელიც XI საუკუნეშია გამაგრებული. ციხის ძირითადი ნაწილი აუშენებიათ IX საუკუნეში.

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ

ᲑᲘᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ

ბირთვისის ციხესიმაგრე თეთრიწყაროს რაიონში, ალგეთის ხეობაში მდებარეობს. იგი პირველად XI საუკუნის წყაროებში მოიხსენიება. ბირთვისი საუკუნეების მანძილზე გაუტეხელ და აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა. მისი მფლობელი კი ალგეთის ხეობას აკონტროლებდა. მიუვალ კლდეებში მდებარე სიმაგრე გალავნით ყოფილა შემოზღუდული. მისი ფართობი 1 კვ. კმ-ს მოიცავს. ყველაზე მაღალ კლდეზე დგას კოშკი - "შეუპოვარი". ციხის ნანგრევებს შორის, თავდაცვითი ნაგებობებისა და კოშკების გარდა, ვხვდებით საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობებს, ასევე წყალსაცავის ნანგრევებს. გადმოცემის თანახმად, ბირთვისი თემურ ლენგს აუღია, ციხესიმაგრე ღალატით, შიგნიდან გატეხილა. ბირთვისი ქართველებს XV საუკუნეში დაუბრუნებიათ. გვიან ფეოდალურ ხანაში კი ბარათაშვილების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ᲮᲣᲚᲣᲢᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ

ხულუტის ციხესიმაგრე ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნაი ნიმუშია. ადგილობრივი კლდის ქვით ნაგები ციხედარბაზი მდინარე ხრამის ღრმა ხეობის ვიწრო ყელში მდებარეობს. ციხესიმაგრე XVIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ციხე ორი ნაწილისაგან შედგება, გარშემო კი გალავანი არტყამს. გალავანში ხუთი კოშკია ჩაყოლებული. თითოეული კოშკი ძირითადად საცხოვრებელი დანიშნულების იყო, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, საბრძოლო მიზნებითაც გამოიყენებოდა. ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კოშკი ფუნქციით კოშკისებური სასახლეა; მას მთელ სიმაღლეზე შუაზე ეოფს კედელი, რომელშიც საფეხურებია ჩაყოლებული. კოშკის ერთი მხარე ექვსსართულიანია, მეორე მხარე კი - შვიდ სართულიანი. ბოლო სართულები გამიზნული იყო საბრძოლველად, დანარჩენი კი - საცხოვრებლად.

ᲒᲣᲓᲐᲠᲔᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი და ნამოსახლარი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ გუდარეხის მიდამოებში მდებარეობს. მაღალი ზღუდით შემოფარგლულ სამონასტრო კომპლექსში შედის რუსუდანის მეფობის პერიოდში აგებული ეკლესია და სამრეკლო. ეკლესია 1222- 45 წლებით თარიღდება. მისი მოპირკეთებული ფასადები უხვადაა შემკული ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამრეკლო, რომელიც 1278 წელს, დემეტრე თავდადებულის მეფობის ხანაში, აუშენებიათ. ეს ყველაზე ადრინდელი სამრეკლოა საქართველოში.

ᲤᲘᲢᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ



სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში სოფელ ფიტარეთის მახლობლად მდებარეობს. მონასტრის შენობათაგან შემონახულია ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში - ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. კარიბჭის შიგნით სამშენებლო წარწერაა, რომელშიც მოთხრობილია, რომ ტაძარი 1213-22 წლებში აუშენებია გიორგი IV ლაშა ამირჯიბს, ქაჯთარ ქაჯიბის ძეს. ფიტარეთის ეკლესიაში შემორჩენილია XIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული კედლის მხატვრობა.

ფიტარეთში მოღვაწეობდა ქართველი მწერალი, ითო ფიტარელი. სამწუხაროდ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ᲡᲐᲒᲐᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ



სამშვილდის ისტორიული ციხე-ქალაქი მდებარეობდა მდინარეების, ხრამისა და ჭივჭავის, შესართავთან, ბუნებრივად გამაგრებულ კონცხზე. ციხის ორ მხარეს კლდოვანი ხრამებია, მესამე მხრიდან კი გალავანი აკრავს და ამიტომ ძნელად მისასვლელ სიმაგრედ ითვლებოდა. ციხესიმაგრის უძველესი სახელია - "ციხე ორბისა", ხოლო ქართულ წყაროებში მთავარ ციხეს "დედაციხედ" იხსენიებენ. ციხე-ქალაქი ძვ. წ. IV-III სს-ში წარმოადგენდა სამშვილდის საერისთაოს ცენტრს. მრავალი თავდაცვითი, საყოფაცხოვრებო, საკულტო და სამეურნეო ნაგებობიდან მხოლოდ ნანგრევები შემორჩა. აქ მდებარეობდა 759-777 წწ. დათარიღებული ცენტრალურ-გუმბათოვანი სამშვილდის სიონის ტაძარი, რომლის მხოლოდ ნანგრევები შემორჩა.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘ

ბოლნისის სიონი VI სამნავიანი ბაზილიკაა. ჩრდილოეთით ერთ-ერთი შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, აშენებულია 478-493 წლებში. მშენებლობის ინიციატორი იყო დავით ეპისკოპოსი. ტაძარი ცნობილია უძველესი ასომთავრული წარწერით და საოცარი რელიეფებით, რომელთაგან ყველაზე ცნობილია "ბოლნური ჯვარი". ბოლნისის სიონი გაროულებულია დამატებითი მოცულობებით: ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე შენობას და თაღოვანი გალერეა გასდევს (მისი უმეტესი ნაწილი დანგრეულია).

ტაძარს გარშემო ფართო, მასიური გალავანი აქვს შემორტყმული. გალავნის შიგნით, გარდა ეკლესიისა, სამსართულიანი სამრეკლოა აღმართული. როგორც მხედრული წარწერა გვაცნობს, სამრეკლო XVII საუკუნის 80-იან წლებში აუგია ბოლნელ ეპისკოპოსს, ნიკოლოზ მუხრანბატონის ძეს.

ᲬᲧᲓᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია აგებულია მეფე ლაშა-გიორგის მიერ XIII საუკუნეში. ამ ტაძარს უმაღლესი ყელი აქვს, რომლიც მხვავსი საქართველოში არ მოიძებნება. გამორჩეულია თავისი ფასადების დეკორით. წულრუდაშენი გეგმით ფიტარეთის ჯვუფს მიეკუთვნება, მაგრამ უფრო პატარაა და გუმბათის ყელსაც ძლიერ აზიდული პროპორციების აქვს. ნაგებობა გარეგან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ სწორკუთხედშია მოქცეული. შიგა სივრცე შექმნილია ჯვრის ოთხი მკლავისაგან, რომელთაგან მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავია აფსიდით დასრულებული. საკურთხევლის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებულია სათავსები, რომელთა ქვედა სართულებში სამკვეთლო და სადიაკენეა მოთავსებული. ჩრდილოეთით ეკლესიას აქვს მოგვიანო ხანის მინაშენი, როგორც ჩანს, საგვარეულო სამკვალე-ეგვრეტი. ეკლესიაში განსაკუთრებული სიფაქიზითაა გამოყენებული ფერადი ქვები. ძეგლი უხვადაა შემკული მდიდრული ნუქურთმით.

ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ



ანტიკურ ხანაში მანგლისს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი დასახლება არსებობდა. მის მახლობლად ჯერ კიდევ IV ს-ის 30-იან წლებში იდგა ქვის ეკლესია, რომლის ნაცვლად V ს-ის მეორე ნახევარში ახალი ტაძარი აგებულ. გიორგი I-ის მეფობის დროს, 1014-1027 წწ-ში, ეკლესია გააფართოვეს და გადააკეთეს. ამჟამად არსებული ეკლესია ტეტრაქონქის ტიპისაა, ნახევრად წრიული მკლავებით. განსაკუთრებით ლამაზია ჩუქურთმებით შემკული გუმბათი და XI ს-ის კარიბჭე ვარსკვლავური კამარით. ეკლესიაში შემორჩენილია XI ს-ის დასაწყისის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. აქვეა შუა საუკუნეების სამრეკლო, რომლის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია.

ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘ

ბეთანიის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, ვერეს ტყიან ხეობაში, თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით (16 კმ).

ტაძარი აგებულია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. რესტავრირებულია XIX საუკუნის ბოლოს. ტაძარი გეგმით სამკუთხედია. სამხრეთ შესასვლელის წინ ვარსკვლავისებრი კამარით გადახურული კარიბჭეა. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა და გუმბათის ყელის აგურის წყობა გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. ტაძარში დაცულია კედლის მხატვრობა, ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების გარკვეული ეტაპის – XII-XIII საუკუნის მიჯნის შესანიშნავი ნიმუში. გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით. საკურთხევლის ქონგში მოთავსებული იყო "ვედრების" კომპოზიცია (შემორჩენილია მხოლოდ ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურის ფრაგმენტები). მოხატულობა შესრულებულია თამარის სიცოცხლეში, გიორგი ლაშას თანამოსაყდრეთ გამოცხადების ხანაში. ჩრდ. კედელზე გამოსახულია გიორგი III, წმ. თამარ მეფე და ლაშა-გიორგი.

ქვემო ქართლი


1
2
3
4
5
6
7
8
9
A
B
C
D
E
43°48'0"
44°0'0"
44°12'0"
44°24'0"
44°36'0"
44°48'0"
45°0'0"
41°48'0"
41°36'0"
41°24'0"
41°12'0"
44°36'0"
44°24'0"
44°12'0"
ბორი
ზემო ხვედურეთი
ციხე-სიმაგრეები
მუზეუმები
სხვა ობიექტები
მცხეთა-მთიანეთი
შიდა-ქართლი
კახეთი
სამცხე-ჯავახეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
ბაკურიანი
ბაკოსი
ბოლნისი
თბილისი
ბორჯომი
ნინოწმინდა
ფარავანი
ალაზანი
ალგეთი
ალაზანი
ალგეთი
ალაზანი
ალგეთ